



წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

1 ოქტომბერი - 10 ნოემბერი, 2012

1 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის პერიოდში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ საარჩევნო მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში განახორციელა პრესის მონიტორინგი. შეფასდა 10 ბეჭდური გამოცემის 800-მდე სტატია.

ანგარიშს თან ერთვის ორი ნაწილისაგან შემდგარი დანართი, სადაც ჩარტებში ცალ-ცალკე წარმოდგენილი 1-21 ოქტომბრის დროის მონაკვეთი და პერიოდი 22 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე. შედეგების ცალ-ცალკე წარმოდგენის საჭიროება დადგა იმის გამო, რომ პოლიტიკურმა ცვლილებებმა სუბიექტებს „ხელისუფლება“, „ოპოზიცია“, „მთავრობა“ და „პარლამენტი“ სხვა მნიშვნელობა შესძინეს, ვიდრე მათ ჰქონდათ არჩევნებამდე. ამ ცვლილებამ შეუძლებელი გახადა 1 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე მონაკვეთის დაჯამებული რაოდენობრივი შედეგების ჩვენება, თუმცა საერთო ტენდენციების თვალსაზრისით შეიძლება გამოვკვეთოთ შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად ყველაზე აქტიურად შუქდებოდა კოალიცია „ქართული ოცნება“, თუმცა მთავრობის ახალი შემადგენლობის ამუშავების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობისთვის დათმობილი ფართობი.
- ტონი „ქართული ოცნების“ მიმართ ძირითადად ნეიტრალურია გამოცემებში, გარდა „ასავალ-დასავალისა“, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდშიც და არჩევნების შემდეგაც ღიად უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილს და მის პოლიტიკურ მოძრაობას.
- მონიტორინგის სუბიექტებს შორის აქტიურად შუქდებოდა პრეზიდენტი, თუმცა მის მიმართ ტონი უმრავლეს შემთხვევებში ნეგატიური იყო.
- ასევე უარყოფითად შუქდებოდა გამოცემათა უმრავლეს შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობები და გაკეთდა არა ერთი უარყოფითი განცხადება ამ პოლიტიკური მოძრაობისა და მისი წევრების მისამართით.

- პოლიტიკური პარტიებიდან არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე და პარლამენტის ამოქმედებამდე გაზეთები ყურადღებას უთმობდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გარდა სხვა პარტიებსაც, მათ შორის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას“, „ქართულ დასს“, „თავისუფალ საქართველოს“ და „ახალ მემარჯვენებს“.
- საანგარიშო პერიოდის ამ ორი მონაკვეთის (1-21 ოქტომბერი და 22 ოქტომბერი-10 ნოემბერი) შედარების შედეგად შეინიშნება, რომ სუბიექტების ოდენობა შემცირდა პარლამენტის მუშაობის დაწყების შემდეგ. თუ უშუალოდ არჩევნების მომდევნო დღეებში გაზეთები აქტიურად წერდნენ კოალიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა სხვა პოლიტიკურ პარტიებზე, პარლამენტის მუშაობის დაწყების შემდეგ ჟურნალ-გაზეთების ძირითადი ყურადღება გადატანილია ამ ორ პოლიტიკურ ძალაზე.
- ჟურნალისტების მხრიდან არაეთიკური გამოთქმებისა და სიძულვილის ენის შემთხვევები გამოვლინდა გაზეთებში „ალია“, „კვირის ქრონიკა“ და „ასავალ-დასავალი“.

მეთოდოლოგია და ანალიზი

პრესის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული სტატიების მომზადება, ჟურნალისტის/სტატიის ენა.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ გამოცემაში ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. დიაგრამაზე გამოტანილია კონკრეტულ მედია საშუალებაში ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტები. თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ

პერიოდში ამ გამოცემაში ამ პარტიას ან არ დაეთმო ფართობი ან მისთვის დათმობილი ფართობი სრული ოდენობის 1%-ზე ნაკლებია.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე წერენ ირიბ თქმაში და ასევე მაშინ, როდესაც მისი ციტატაა მოყვანილი, სადაც იგი თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი ფართობი, იქვე ხდება ამ ფართობის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სტატიის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ გამოცემაში სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართობის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ გამოცემაში სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად, ხოლო მეორე შემთხვევაში ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის/წერის ფართობი.

თვისებრივი მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სტატიაში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სტატიაში გამოყენებული მასალები. არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში.

ფასდება ასევე, რამდენად არის სტატია ფაქტებზე დაყრდნობით აგებული, რაც პირველ რიგში, გულისხმობს, გადამოწმებულია თუ არა ერთი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ეძლევა თუ არა მკითხველს საშუალება, რომ სტატიის წაკითხვის შემდეგ იცოდეს მომხდარი ფაქტის შესახებ უტყუარი ინფორმაცია.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება თანდართულ ილუსტრაციაზეც, თუ მასზე გამოსახულია მონიტორინგის რომელიმე სუბიექტი. გარდა ფართობის განსაზღვრისა, ფასდება ილუსტრაციის ტონიც იმის მიხედვით, რა განწყობას უქმნის ფოტო მკითხველს.

თვისებრივი ანალიზის კიდევ ერთი კომპონენტია სტატიის ენა, რაც ერთგვარად არის რაოდენობრივი ანალიზისას წარმოდგენილი ჟურნალისტის ტონის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ თვისებრივი ანალიზისას უფრო მეტი ყურადღება ექცევა ჟურნალისტის ლექსიკას და ფრაზეოლოგიას არა მხოლოდ მონიტორინგის სუბიექტების მიმართ, არამედ მთელ სტატიაში. რიგ შემთხვევებში, ჟურნალისტი არ წერს მონიტორინგის სუბიექტზე, თუმცა ტექსტი მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანია თვისებრივი ანალიზისთვის.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდის მონიტორინგის შედეგები გამოცემების მიხედვით.

ყოველდღიური გამოცემები

რეზონანსი

„რეზონანსი“ გამოირჩევა სუბიექტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, თუმცა მათგან ყველაზე აქტიურად სუბიექტი კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა, როგორც უშუალოდ არჩევნების მომდევნო დღეებში, ისე პარლამენტის მიერ მუშაობის დაწყების შემდეგაც, თუმცა საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში შემცირდა მოხსენიებული სუბიექტების რაოდენობა. გამოცემის ჟურნალისტები ცდილობენ მრავალმხრივ და ამომწურავად გააშუქონ მიმდინარე მოვლენები და დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები.

წინასაარჩევნო პერიოდის მსგავსად გაზეთ „რეზონანსში“ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე მეტი სუბიექტი გაშუქდა, თუმცა 22 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე დროის მონაკვეთში აქტიურად გაშუქებული სუბიექტების რაოდენობა 12-დან 9-მდე შემცირდა. პირველ პერიოდში ყველაზე ხშირად მოხსენიებული სუბიექტი კოალიცია „ქართული ოცნება“ იყო (64%), თუმცა ახალი აღმასრულებელი

ხელისუფლების ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ ყველაზე მეტი ფართობი „რეზონანსმა“ სწორედ მთავრობას დაუთმო (43%). აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის პირველ ნახევარში კოალიციის მომდევნო სუბიექტს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ საერთო ფართობის 10% დაეთმო, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კოალიციის 64%-იან მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში კი მთავრობის მომდევნო სუბიექტი მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ 25%-ით.

მასალის ტონის მიხედვით ანალიზის შედეგად ჩანს, რომ რეზონანსში დომინანტურია ნეიტრალური ტონი, მწირია ნეგატიური ტონი თითქმის ყველა სუბიექტის მიმართ და თითქმის არ გვხვდება პოზიტიური ტონი სუბიექტების მიმართ. მსგავსი ტენდენცია ნარჩუნდება ჟურნალისტის ტონის ანალიზის შედეგადაც.

თვისებრივმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჟურნალისტები მეტწილად ცდილობენ, მრავალმხრივ გააშუქონ ესა თუ ის საკითხი. რიგ შემთხვევებში ჩანს, რომ სტატიის ავტორი ეცადა ამომწურავი ინფორმაცია მიეღო სხვადასხვა წყაროსაგან, თუმცა წარუმატებლად.

სტატიის ენის თვალსაზრისით, „რეზონანსში“, არ გვხვდება არაეთიკური ან ქსენოფობიური განცხადებები, თუმცა ჟურნალისტები ცალკეულ შემთხვევებში ნეგატიურ განწყობას აფიქსირებენ სუბიექტების ან სტატიის თემის მიმართ.

24 საათი

24 საათი რეზონანსის მსგავსად ყოველდღიურად გამოდის და მიმდინარე მოვლენებს ინტენსიურად აშუქებს, თუმცა ეს გამოცემა უფრო ნაკლებ ანალიტიკურ სტატიას სთავაზობს მკითხველს. 24 საათი გამოირჩევა ილუსტრაციების სიმცირითაც. სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონი ჭარბობს.

24 საათის შემთხვევაში პირველ და მეორე პერიოდს შორის მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოვლენილა. გამოცემა აშუქებს ყველა ახალ ამბავს, რომელიც ქვეყანაში ხდება და ტონი სუბიექტებისა თუ მოვლენების მიმართ უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრალურია.

მონიტორინგის ორივე პერიოდში ყველაზე აქტიურად კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შუქდებოდნენ, თუმცა მათ რიცხოვრივ მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა. პირველ შემთხვევაში (1-21 ოქტომბერი) სუბიექტებისთვის დათმობილი სრული ფართობის ნახევარი (50%) კოალიციას დაეთმო, მაშინ, როცა მათ ოპონენტებს მხოლოდ 18%. ასევე დიდი განსხვავება ფიქსირდება მეორე შემთხვევაშიც (22 ოქტომბერი - 10 ნოემბერი), როცა სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის 54% კოალიციაზე, ხოლო 14% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ოქტომბრის თვისა და ნოემბრის დასაწყისში სხვა პოლიტიკური პარტიები ძალიან მწირად გაშუქდნენ 24 საათის ფურცლებზე.

ტონის თვალსაზრისით, „24 საათში“ ნეიტრალური ტონი ჭარბობს ყველა სუბიექტის მიმართ. პოზიტიური ტონი დაფიქსირდა რამოდენიმე სუბიექტის მიმართ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ტონით საუბარი თავად ჟურნალისტის მხრიდან ცალკეული სუბიექტების მიმართ უფრო იშვიათია, რაც ჟურნალისტის ტონის ამსახველ დიაგრამაზეც ნათლად ჩანს. სტატიის ავტორები ფაქტებს გადმოსცემენ და მაქსიმალურად ცდილობენ, თავი შეიკავნო კომენტარებისა და შეფასებების გაკეთებისაგან.

თვისებრივი ანალიზის კუთხით აღსანიშნავია, რომ „24 საათი“ თითქმის არასდროს არ ტოვებს ყურადღების მიღმა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ თემებს, თუმცა ამ გამოცემაში ანალიტიკური მასალის სიმწირე შეინიშნება.

„24 საათის“ სტატიებში რამოდენიმე განსხვავებული წყაროა წარმოდგენილი, თუმცა უხვად არის ასევე მოკლე საინფორმაციო სტატიები, რომლებიც ცალმხრივად აწვდიან მკითხველს ფაქტებს. ეს ნიუსები ძირითადად საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციას ეყრდნობა და მრავალმხრივ არ აშუქებს მომხდარ ფაქტს.

რესპონდენტების სახელები და თანამდებობები ძირითადად ზუსტად და სწორად არის მიწოდებული მკითხველისთვის.

24 საათში სტატიებს იშვიათად ახლავთ ილუსტრაცია, რაც უფრო მშრალს ხდის მოწოდებულ ინფორმაციას. ის ილუსტრაციებიც, რომელიც წარმოდგენილია გაზეთში, ნეიტრალურია და არავითარ შთაბეჭდილებას ან განწყობას არ ქმნის მკითხველში.

ყოველკვირეული გაზეთები

ალია

ალიაში ყველაზე აქტიურად პოსტსაარჩევნო პერიოდში შუქდებოდა კოალიცია „ქართული ოცნება“, თუმცა მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ გამოცემა ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ მას უთმობს. გამოცემაში მწირია სუბიექტების დადებით ტონში გაშუქება. ამ გაზეთის ჟურნალისტები რიგ შემთხვევებში არაეთიკურ გამოთქმებსაც იყენებენ სხვადასხვა სუბიექტის მიმართ, ძირითადად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ.

რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ოქტომბრის პირველ ნახევარში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის 33% არჩევნებში გამარჯვებულ ძალას, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, რომლის შემდგომ ყველაზე აქტიურად შუქდებოდა ყოფილი მმართველი პარტია და ამჟამად საპარლამენტო ოპოზიცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“(29%). ოქტომბრის ბოლოს-ნოემბრის დასაწყისში კი მთლიანი ფართობის 27% მთავრობას და 24% კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, რის შედეგადაც საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქების მოცულობა კიდევ უფრო შემცირდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასევე „ალიას“ ფურცლებზე მოხვდნენ „ლეიბორისტული პარტია“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

მართალია, „ალიას“ ჟურნალისტები ასევე აქტიურად წერდნენ პრეზიდენტის შესახებ, თუმცა ტონის მიხედვით მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ სუბიექტის გაშუქება მკვეთრად უარყოფით იყო. ასევე ნეგატიურ ტონში ხდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმოჩენა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფის შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნულ სუბიექტებზე ნეგატიურ ტონში პოლიტიკური ოპონენტების გარდა, თავად

ჟურნალისტებიც წერდნენ. ეს დამოკიდებულება „ალიაში“ ვლინდებოდა არჩევნებამდეც და შენარჩუნდა არჩევნების შემდეგაც.

თვისებრივი ანალიზის კუთხით აღსანიშნავია სიძულვილის ენის შემთხვევები, როდესაც როგორც ჟურნალისტები, ისე ცალკეული რესპონდენტები არაეთიკური გამოთქმებით საუბრობენ. განსაკუთრებით ხშირია ასეთი გამონათქვამები პრეზიდენტისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა მიმართ. ნეგატიური დამოკიდებულების გამოსამჟღავნებლად გამოცემა აქტიურად იყენებს ილუსტრაციებსაც.

სტატიის ენასთან ერთად, მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა დაბალანსებული და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოწოდების კუთხითაც. „ალიაში“ არჩევნების შემდგომ პერიოდში, როგორც პარლამენტის ამუშავებამდე, ისე ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგაც, აქვეყნებდა სტატიებს, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ ერთი წყაროს მიერ მოწოდებულ გადაუმოწმებელ ინფორმაციას. ზოგ შემთხვევაში კი წყაროც არაა ცნობილი მკითხველისთვის, რადგან ჟურნალისტი მას ან ანონიმურ ან სანდო წყაროდ მოიხსენიებს.

კვირის პალიტრა

კვირის პალიტრამ სხვა გამოცემებისგან განსხვავებით ყველაზე აქტიურად არჩევნების მომდევნო კვირებში პრეზიდენტი და ცენტრალური საარჩევნო კომისია გააშუქა, მონიტორინგის მეორე ნახევარში კი - ახლადდაკომპლექტებული მთავრობა. მართალია, გამოცემა მოვლენების მრავალმხრივ გაშუქებაზეა ორიენტირებული, მაგრამ მონიტორინგის პროცესში ფაქტების ცალმხრივად და გადაუმოწმებლად მოწოდების შემთხვევებიც გამოვლინდა.

„კვირის პალიტრაში“ ფართობის განაწილების კუთხით განსხვავებული სურათია. იგი განსხვავდება როგორც სხვა გამოცემების შედეგებისგან, ასევე არაერთგვაროვანია საანგარიშო პერიოდის პირველ და მეორე ნახევარში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის მხრივაც. კერძოდ, 1-21 ოქტომბრის მონაკვეთში „პალიტრამ“ თანაბარი სიხშირით გააშუქა

საქართველოს პრეზიდენტი და ცენტრალური საარჩევნო კომისია, მათ მთლიანი ფართობის 29-29% ერგოთ. მათზე შედარებით მცირე ფართობი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (24%). კოალიცია აქტიურად გაშუქებულ ცალკე სუბიექტად აღარ გვხვდება ოქტომბრის მეორე ნახევრისა და ნოემბრის დასაწყისის მასალების ანალიზისას. ამ პოლიტიკური გუნდისთვის დათმობილი ფართობი თითქმის მთლიანად მოდის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებზე. 22 ოქტომბერი-10 ნოემბრის შუალედში დიდი ოდენობით გაშუქდა მთავრობა (71%). მის მომდევნო სუბიექტს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კი სრული ფართობის 11% ერგო მხოლოდ.

სუბიექტების ტონებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გამოცემაში პოზიტიური ტონი თითქმის არ გამოვლენილა არჩევნების შემდგომ დღეებში. საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში კი ფიქსირდება 41%-იანი პოზიტიური ტონი მთავრობის მიმართ. მაგრამ ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფამ აჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი ინტერვიუებსა და თავად მთავრობის წევრების ციტატებზე მოდის. ნეგატიური ტონი კი უხვად ფიქსირდება პრეზიდენტის მიმართ. ნეგატიური ტონის შემთხვევაში კი, გარკვეული წილი ჟურნალისტებზეც მოდის.

თვისებრივი ანალიზის თვალსაზრისით კვირის პალიტრის ჟურნალისტები შეეცადნენ დაეცვათ სტანდარტები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემაში არცთუ ისე იშვიათად სტატიაში მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია იყო წარმოჩენილი ან ერთი ექსპერტის ნააზრევო, ინფორმაციის გადაუმოწმებლად და განსხვავებული აზრის გარეშე.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ გამოცემა ცდილობს ყურადღების მიღმა არ დატოვოს არც ერთი აქტუალური მოვლენა, რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს.

კვირის ქრონიკა

კვირის ქრონიკა „ალია ჰოლდინგის“ მეორე გამოცემა, რომელიც მთელი კვირის მოვლენების შეჯამებას და ანალიზს სთავაზობს მკითხველს, თუმცა გამოცემის მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერვიუებს უკავია. ჟურნალისტების მხრიდან ხშირია ჟურნალისტური ისეთი სტანდარტების დარღვევა, როგორიცაა ბალანსი და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის

მიწოდება მკითხველისთვის. „აღიას“ მსგავსად ამ გამოცემაშიც ხშირია არაეთიკური გამოთქმები სხვადასხვა სუბიექტის მიმართ.

„კვირის ქრონიკაში“ „ქართულ ოცნებას“ და პრეზიდენტს თითქმის თანაბარი ოდენობის ფართობი დაეთმოთ ორივე პერიოდში. ამ ორი ყველაზე აქტიურად გაშუქებული სუბიექტების გარდა გამოცემის ყურადღების ქვეშ მოექცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“. სხვა პოლიტიკური პარტიებს შორის, რომელთაც ვერ გადალახეს ბარიერი არჩევნებზე და ვერ მოხვდნენ პარლამენტში, ოქტომბრის დასაწყისში მცირედით გაშუქდა „ლეიბორისტული პარტია“, თუმცა მონიტორინგის სხვა სუბიექტებს, რომელიც წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს, გამოცემა ყურადღებას თითქმის არ უთმობს.

მართალია, რაოდენობრივად მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის დიდი სხვაობა არ ვლინდება, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებაა მათ ტონებს შორის. კოალიციის მიმართ მეტწილად ნეიტრალური, ზოგჯერ კი პოზიტიური ტონი ფიქსირდება, მაშინ, როცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტის შესახებ საუბარი ამ გაზეთის ფურცლებზე თითქმის ყოველთვის ნეგატიურ ტონში მიდის.

მონიტორინგის შედეგად „კვირის ქრონიკაში“ გამოვლინდა სიძულვილის ენის შემთხვევები, ასევე ამჟამინდელი ოპოზიციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტის მიმართ შეურაცხყოფელი გამონათქვამებიც.

საყურადღებოა შემთხვევა, როდესაც „კვირის ქრონიკამ“ ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა იმ სპეცრაზმელთა სია და პირადი ინფორმაცია, რომელიც სავარაუდოდ (დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად) მონაწილეობდნენ 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა დარბევაში.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია „კვირის ქრონიკის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო, რომელზეც გამოსახული იყო გარდაცვლილი 10 თვის ბავშვი. იგი არჩევნების წინა დამით კახეთში ქვევრში დამხრჩვალ იპოვეს. ფოტოს სათაურად ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის მანანა ბერიკაშვილის ციტატა, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სდებდა ბრალს მომხდარში. თავად სტატია არაფერს ამტკიცებდა

და ჟურნალისტი ცდილობდა, მიუკერძოებლად მოეთხრო მომხდარზე, მაგრამ პირველ გვერდზე გამოტანილი ფოტო მკითხველში „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების აძლიერებდა.

„კვირის ქრონიკაში“ ძნელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს სტატია და სვეტი. არსად არ არის მსგავსი მითითება გაკეთებული, რათა ჟურნალისტური ნააზრევი მკითხველმა უტყუარ ინფორმაციად არ მიიღოს.

ასავალ-დასავალი

ასავალ-დასავალის მონიტორინგისას თვალშისაცემია პოზიტიური ტონი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ და ნეგატიური დამოკიდებულება პრეზიდენტისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტია „ქართული ოცნება“. ბალანსი მთელ რიგ შემთხვევაში არაა დაცული, ზოგჯერ კი სტატიებს წყარო საერთოდ არ ჰყავთ. არაეთიკური გამოთქმები და ნეგატიური ტონის ფოტო-მასალა ასავალ-დასავალის ფურცლებზე უხვად იბეჭდება.

კოალიცია „ქართულ ოცნება“ ყველაზე აქტიურად გაშუქებული სუბიექტია მონიტორინგის ორივე მონაკვეთში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ კოალიციისადმი დათმობილი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი სუბიექტ „მთავრობაზე“ გადავიდა, რადგან ის პირები, რომლებიც მანამდე აღირიცხებოდნენ, როგორც კოალიციის წევრები, დაინიშნენ მთავრობის წევრებად. პრეზიდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ასევე ხშირად ხვდებიან „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე. თუმცა, „კვირის ქრონიკის“ მსგავსად, რაოდენობრივად თითქმის თანაბარი გაშუქება განსხვავებას ავლენს ტონის ნაწილში.

მასალის ტონის მიხედვით ანალიზისას თვალშისაცემია პოზიტიური ტონის სიჭარბე კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ, მაშინ როცა დანარჩენი სუბიექტები ძირითადად ნეგატიურ ტონში შუქდებიან, განსაკუთრებით კი პრეზიდენტი და საპარლამენტო ოპოზიცია.

„ასავალ-დასავალის“ სტატიებში მთელ რიგ შემთხვევებში ბალანსიც არაა დაცული. სტატიების ნაწილი ერთ წყაროს ეფუძნება, ნაწილი კი არის მხოლოდ ჟურნალისტის ნააზრევი წყაროს გამოყენების გარეშე, ამასთან აღასნიშნავია, რომ როდესაც წყაროს გარეშე წერს ჟურნალისტი საკუთარ მოსაზრებებს მითითებული არ არის რომ ესაა საავტორო სვეტი. გარდა ხელისუფლების კრიტიკისა, ჟურნალისტები ღიად უჭერენ მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

გარდა იმისა, რომ „ასავალ-დასავალი“ ღია მხარდაჭერას გამოხატავს ბიძინა ივანიშვილისა და მის მიერ დაკომპლექტებული მთავრობის მიმართ, იგი ასევე ღიად აფიქსირებს სიძულვილს (და არა კრიტიკას) ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ამჟამად საპარლამენტო ოპოზიციის წევრთა მიმართ. გაზეთის ფურცლებზე კეთდება ღია მოწოდება, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში უნდა აიკრძალოს და ყველა უნდა გასამართლდეს, რის შედეგადაც გასამართლდება არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, არამედ „მოქალაქეთა კავშირიც“ და „აღორძინებაც“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „კვირის ქრონიკის“ მიერ სპეცრაზმელთა სახელებისა და გვარების გამოქვეყნებამდე „ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა გლდანის მე-8 საპრობილის თანამშრომელთა სახელები და საკონტაქტო ინფორმაცია. საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, გამოცემა ირწმუნება, რომ ეს მისი მხრიდან სწორი საქციელი იყო.

ნეგატიური განწყობის შესაქმნელად და დასაფიქსირებლად გამოცემა ილუსტრაციასაც ხშირად იყენებს.

ყოველკვირეული ჟურნალები

ტაბულა

ჟურნალ ტაბულაში ყველაზე აქტიურად გაშუქებული სუბიექტია პირველ პერიოდში კოალიცია „ქართული ოცნება“, ხოლო მეორე ნახევარში „მთავრობა“, რომელიც ასევე კოალიციის წევრებითაა დაკომპლექტებული. ჟურნალისტის ტონი სუბიექტების მიმართ

მეტწილად ნეიტრალურია. გამოცემა ცდილობს დაიცვას ჟურნალისტური სტანდარტები და ფაქტებზე დაყრდნობით მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის 1-21 ოქტომბრის მონაკვეთში „ტაბულაში“ ყველაზე მეტი ფართობი, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. 22 ოქტომბრიდან კი ჟურნალისტები უფრო აქტიურად წერენ მთავრობის წევრებზე და მათ პროგრამებზე, რაც შედეგად აისახა რიცხოვნობაზე მონაცემებზეც და საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში ყველაზე მეტი ფართობი აღმასრულებელ ხელისუფლებას დაეთმო. მთავრობის გარდა ჟურნალის ყურადღების ქვეშ მოექცნენ ასევე პრეზიდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ტონი სუბიექტების მიმართ ძირითადად ნეიტრალურია, თუმცა დაფიქსირდა ნეგატიური და პოზიტიური ტონიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფით გამოვლინდა, რომ თავად ჟურნალისტის მხრიდან პოზიტიური ტონი არ დაფიქსირებულა არც ერთი სუბიექტის მიმართ.

თვისებრივი ანალიზის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ „ტაბულას“ ჟურნალისტები ცდილობენ დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები. კერძოდ, ცდილობენ, დაბალანსებულად და მრავალმხრივ აჩვენონ სტატიაში განხილული საკითხი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წყაროების ნაკლებობა შეინიშნება და წარმოდგენილი სიღრმისეული ანალიზის ავტორი მხოლოდ ჟურნალისტია.

ჟურნალ „ტაბულაში“ არ გვხვდება არაეთიკური გამონათქვამები, რაც შეიძლება, პოზიტიურად შეფასდეს.

თბილისელები

ჟურნალი თბილისელები, რომელიც თითქმის ყველა წინა ანგარიშის დროს გამოირჩეოდა სუბიექტების განსხვავებული მიმდევრობით, ამ საანგარიშო პერიოდში სხვა ჟურნალ-გაზეთების მსგავსად ყველაზე მეტი ყურადღება მთავრობას დაუთმო. წინა ანგარიშების მსგავსად კი ახლაც ტონი სუბიექტების მიმართ უმრავლეს შემთხვევაში ნეგატიურია.

წინა ანგარიშებში ჟურნალი „თბილისელები“ გამოირჩეოდა იმ კუთხით, რომ ყველაზე მეტი ყურადღება ამ გამოცემაში „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ ან სხვა რომელიმე სუბიექტს ეთმობოდა. ახლა კი მონიტორინგის ორივე მონაკვეთში ყველაზე მეტი ყურადღება მთავრობას დაეთმო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტი მთავრობა 1-21 ოქტომბრის მონაკვეთში გულისხმობდა ვანო მერაბიშვილის პრემიერობისას მოქმედ მინისტრთა კაბინეტს, ხოლო მეორე პერიოდში კი ბიძინა ივანიშვილის პრემიერობისას დსაკომპლექტებულ ახალ მინისტრთა კაბინეტს.

თვალში საცემია განსხვავება ტონში ამ ორ სუბიექტს შორის. პირველ პერიოდში მთავრობა თითქმის სულ ნეგატიურ ტონშია გაშუქებული, მაშინ, როცა მეორე პერიოდში მნიშვნელოვნად მაღალია პოზიტიური ტონი ამ სუბიექტის მიმართ. პოზიტიური ტონი სხვა სუბიექტების მიმართ არ დაფიქსირებულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფამ აჩვენა, რომ ეს პოზიტიური ტონი ჟურნალისტს არ ეკუთვნის.

მთავრობის გარდა „თბილისელებმა“ ასევე აქტიურად გააშუქეს პარლამენტი, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, პრეზიდენტი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ლეიბორისტული პარტია. თითქმის ყველა სუბიექტის მიმართ ნეგატიური ტონი ჭარბობს.

თვისებრივი ანალიზის კუთხით საყურადღებოა, რომ სტატიებს ზოგჯერ არ ჰყავს წყარო და ფაქტები არ არის გადამოწმებული.

გზა

ჟურნალ გზაში პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე მასალა საკმაოდ მწირია. ჟურნალში მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა პირველ პერიოდში, ხოლო მეორე ნახევარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

პირველ პერიოდში „ქართული ოცნებისთვის“ დათმობილი ფართობი მნიშვნელოვნად ჭარბობდა სხვა სუბიექტებისთვის დათმობილ ფართობს, ხოლო მეორე პერიოდში, მართალია ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა, მაგრამ

თითქმის იგივე ოდენობის ფართობი დაეთმო მის მომდევნო სუბიექტს კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

ჟურნალი გზაში, ტონის ანალიზის კუთხით პირველ პერიოდში ჭარბობს ნეიტრალური ტონი თითქმის ყველა სუბიექტის მიმართ, ხოლო მეორე პერიოდში შესამჩნევია ნეგატიური ტონის მატება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პრეზიდენტის მიმართ.

ნეგატიური ტონის სიჭარბე მეტწილად უკავშირდება რუბრიკა „პროვოკატორს“, რომელიც აკრიტიკებს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და პოლიტიკოსებს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე ოპოზიციონერებს.

პოლიტიკურ თემაზე შექმნილი სტატიების ძირითადი წყარო თავად ჟურნალისტია. ფაქტები არაა გადამოწმებული და არც განსხვავებული პოზიციებისა თუ მოსაზრებების ჩვენება ხდება მკითხველისთვის.

სარკე

ჟურნალ სარკეშიც, მსგავსად გზისა და თბილისელებისა, პოლიტიკურ თემებზე სტატიები მცირე რაოდენობისაა. ამ გამოცემაში ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რომლის მიმართ თითქმის თანაბრად ფიქსირდება დადებითი და ნეიტრალური ტონები. უარყოფითი ტონი ჭარბობს სახელისუფლებო სუბიექტების მიმართ (პრეზიდენტი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ადგილობრივი თვითმმართველობა და ხელისუფლება).


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე აქტიურად „სარკეშიც“ კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. კოალიციის გარდა გაშუქდნენ პრეზიდენტი, მთავრობა (ახლად დაკომპლექტებული) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

ტონის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ პოზიტიური ტონი ჭარბობს თითქმის კოალიცია „ქართული ოცნების“ შემთხვევაში. სხვა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ პოზიტიური ტონი პირველ პერიოდში ასევე ფიქსირდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ტონი სხვა სუბიექტების მიმართ მეტწილად ნეიტრალურია.


პოლიტიკური სტატიები გამოცემაში ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი წყარო ჰყავს, ან წყარო მხოლოდ თავად ჟურნალისტია. ფაქტები იშვიათადაა გადამოწმებული.

დანართი 1 - დიაგრამები (1 ოქტომბერი - 21 ოქტომბერი)


დიაგრამა Space 1




დიაგრამა Space 2




დიაგრამა Space 3




დიაგრამა Space 4




დიაგრამა Space 5




დიაგრამა Space 6




დიაგრამა Space 7





დიაგრამა Space 8




დიაგრამა Space 9







დიაგრამა Tone J1




დიაგრამა Tone 2




დიაგრამა Tone J2




დიაგრამა Tone 3




დიაგრამა Tone J3




დიაგრამა Tone 4




დიაგრამა Tone J4




დიაგრამა Tone 5




დიაგრამა Tone J5




დიაგრამა Tone 6




დიაგრამა Tone J6




დიაგრამა Tone 7




დიაგრამა Tone J7




დიაგრამა Tone 8




დიაგრამა Tone J8




დიაგრამა Tone 9




დიაგრამა Tone J9



დიაგრამა Tone 10




დიაგრამა Tone J10




დანართი 2 (22 ოქტომბერი - 10 ნოემბერი)


დიაგრამა Space 1




დიაგრამა Space 2




დიაგრამა Space 3




დიაგრამა Space 4




დიაგრამა Space 5




დიაგრამა Space 6



დიაგრამა Space 7




დიაგრამა Space 8




დიაგრამა Space 9




დიაგრამა Space 10




დიაგრამა Tone 1




დიაგრამა Tone J1




დიაგრამა Tone 2




დიაგრამა Tone J2




დიაგრამა Tone 3




დიაგრამა Tone J3




დიაგრამა Tone 4




დიაგრამა Tone J4




დიაგრამა Tone 5




დიაგრამა Tone J5




დიაგრამა Tone 6




დიაგრამა Tone J6




დიაგრამა Tone 7




დიაგრამა Tone J7




დიაგრამა Tone 8




დიაგრამა Tone J8




დიაგრამა Tone 9



დიაგრამა Tone J9



დიაგრამა Tone 10



დიაგრამა Tone J10

